

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბესარიონ ნადირაძის მიერ განეული მუშაობის ანგარიში 2014-2015 წლებში

როგორც მოგეხსენებათ, არჩეული ვარ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად (პროპორციული სიით, ქართული ოცნება-კონსერვატორები) და აქტიურად ვარ ჩართული ჭიათურის მუნიციპალიტეტისა და მასში შემავალ თემებში არსებული პრობლემების მოგვარებაში.

შეხვედრები მქონდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან და დახმარებას ვუწევ მათ შესაძლებლობების ფარგლებში.

2014-2015 წლებში შეხვედრები მქონდა სოფლებში : კაცხის, ნავარძეთის, წირქვალის, პერევისის, რგანის, ხრეთის და ასევე ქალაქის მოსახლეობასთან : ჭავჭავაძის, ლეჟუბნის, ზედა ნაგუთის, ქვედა ნაგუთის, იაშვილის.

მოსახლეობასთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა ისეთი საკითხები, როგორცაა : წყლის მიწოდების და ხარისხის პრობლემა ქალაქის ტერიტორიაზე, წყლის მიწოდების პრობლემა რგანის თემში კერძოდ ორი ნომრის დასახლებაში, ეკოლოგიური პრობლემები (ძირითადად რგანის თემში), გზის ასფალტირების პრობლემა (ხრეთის თემში), სალიეთი-მორძვეეთის გზის რეაბილიტაცია, მემორიალი-რგანის დამაკავშირებელის გზის რებილიტაცია და სხვა პრობლემები.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ არჩეული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარედ.

ფრაქცია ხელმძღვანელობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და ფრაქციის წესდებით.

2014 წლის ივლისის თვიდან დღემდე ფრაქციას სულ ჩატარებული აქვს 17 სხდომა, სადაც იხილებოდა მიმდინარე საკითხები, ფრაქცია ისმენდა ინფორმაციას ყველა იმ სფეროდან, რომელიც იყო აქტუალური, იღებდა შესაბამის გადაწყვეტილებებს, ამასთან ერთად განიხილავდა და შესაბამის რეაგირებას ახდენდა მოქალაქეთა მიერ შემოსულ განცხადებებზე.

ფრაქციის სხდომაზე განსახილველი საკითხებიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სოციალურ პრობლემებს.

ფრაქციის სხდომაზე განხილული იყო ნინოშვილის ქუჩაზე (№12-№10 ბინებს შორის) მდებარე სკვერისათვის უორია ერგემლიძის სახელის მინიჭება. ეს საკითხი გატანილ იქნა საკრებულოს სხდომაზე სადაც ერთხმად მიენიჭა აღნიშნულ სკვერს უორია ერგემლიძის სახელი.

აქტიური მუშაობის შედეგად №27 სასპორტო კომპლექსური სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად მოეწყო როლანდი გველესიანის სახელობის შეჯიბრი მაგიდის ჩოგბურთში.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად ჩემი უფლებამოსილების ვადაში აქტიურად ვიქნები ჩართული პროცესებში როგორც საკრებულოს წევრი ასევე ფრაქციის თავმჯდომარე.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული-ოცნება-კონსერვატორები“-ს
თავმჯდომარე :



ბესარიონ ნადირაძე